№ 214 1877–1901 № 214

ხუთშაბათი, 4 ოქტომბერი, 1901 წ.

ᲘᲕᲔᲠᲘᲐ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲦᲘᲠᲡ:

თვე	ᲯᲐᲜ.	Კ.	თვე	ᲛᲐᲜ.	Კ.
12. . .	10	—	6 . . .	6	—
11. . .	9	50	5 . . .	5	50
10. . .	8	75	4 . . .	4	75
9. . .	8	—	3 . . .	3	50
8. . .	7	25	2 . . .	2	75
7. . .	6	50	1 . . .	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ

ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ

ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

№ 214

ხუთშაბათი, 4 ოქტომბერი, 1901 წ.

რედაქცია ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲠᲝᲖᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲨᲘ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ

და განცხადებათა დასაბეჭდად

უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

ხუთშაბათს, 4 ოქტომბერს 1901 წ.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲘᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ

წარმოდგენილი იქნება

ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ

დრამა 5 მოქმედებად, დ. ერისთავისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, მდივანი და სხვ. ბ-ნნი: გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, იმედაშვილი, ურუშაძე, მირიანაშვილი და სხ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ. ფასები ჩვეულებრივია.

რეჟისორი ვ. აბაშიძე

შემდეგი წარმოდგენა 7 ოქტომბერს: მზადდება ახალი პიესები: „გაცრუებული იმედები“ კომედია 2 მოქ.

(3—ნ.—2)

პირველი კერძო სამკურნალო

ᲔᲥᲘᲛᲘᲡ ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘᲡᲐ

(ᲙᲣᲙᲘᲐᲨᲘ, ᲕᲝᲠᲝᲜᲪᲝᲕᲘᲡ ᲥᲔᲒᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ)

ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

ᲓᲘᲚᲐᲝᲑᲘᲗ:

ბ. ა. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

Ძ. მ. ᲩᲘᲥᲝᲕᲐᲜᲘ. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. Ი. ᲑᲐᲑᲐᲜᲐᲡᲘᲐᲜᲪᲘ. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

Ჯ. Ი. ᲑᲫᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

Ა. Ჯ. ᲥᲐᲠᲐᲯᲐᲔᲢᲘᲐᲜᲪᲘ. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲝᲑᲘᲗ:

ნ. ნ. ᲠᲝᲡᲢᲝᲛᲫᲔᲙᲝᲕᲘ. 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

Ა. ნ. ᲨᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘ. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულ ავადმყოფობათა.

Ზ. Ა. ᲗᲐᲠᲮᲐᲜᲝᲕᲘ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—7½ ს.

ს. Ტ. ᲐᲠᲕᲐᲜᲘᲢᲐᲙᲘ. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

ბ. Ა. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ. 7½—8 ს.

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

—

ᲙᲔᲠᲫᲝ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲐ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲬᲐᲕᲚᲐ-ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ.*)

III. „სახალხო განათლების გამავრცელებელის საზოგადოების მოღვაწეობა“.

„სახალხო განათლების გამავრცელებელ საზოგადოების“ დამაარსებელთ იმედი გაუმართლდათ: არსებულ ფერაინთაგან მრავალი შეუერთდა „საზოგადოებას“ და ამის წევრად გახდა. გარდა ამისა, თვით „საზოგადოებამაც“ ენერგიულად მოჰკიდა ხელი ახალ ფერაინების დაარსებას და მრავალიც დააფუძნა, ასე რომ აჰ უკანასკნელ 30 წლის განმავლობაში სახალხო განათლების ფერაინები გერმანიის ყველა ადგილებს მოიფინა. „საზოგადოების“ წევრთა საერთო რიცხვიც ამ ხნის განმავლობაში ყოველ წლივ მატულობდა და ახლაც მატულობს. მაგრამ საგნის ამ მხარეს ჩვენთვის, ქართველებისთვის, ნაკლები ინტერესი აქვს და ამიტომ „საზოგადოების“ წევრთა ზრდის მაჩვენებელი ციფრები აქ აღარ მოგვყავს.

უფრო საინტერესოა ჩვენთვის „საზოგადოების“ პრაქტიკული მოღვაწეობა, რომელსაც მოკლედ აღვნიშნავთ. სამწუხაროდ, ამ მოღვაწეობის სავსებით გათვალისწინება შეუძლებელია, რადგან „საზოგადოება“ თავისს შტო-ფერაინებსა ᲩᲔ განყოფილებებს სრულს დამოუკიდებლობას უთმობს მართვა-გამგეობაში და პრაქტიკულს მოქმედებაში. აგრეთვე მრავალი ფერაინი არის, რომელიც „საზოგადოების“ წევრად ითვლება, „საზოგადოებისგან“ სრულიად დამოუკიდებლად მოქმედობს და მისი მოღვაწეობა-კი „საზოგადოების“ წლიურს ანგარიშებში არის მოხსენებული. ამიტომ რასაც ქვევით მოვუთხრობთ მკითხველს, მხოლოდ „საზოგადოების“ ცენტრალურ გამგეობის მოღვაწეობას შეეხება.

დიდს ყურადღებას აქცევდა და აქცევს „საზოგადოება“ საჯარო ლექციების მოწყობას. მას ჰყავს დანიშნული მრავალი მოგზაური ლექტორები, რომლებიც დრო-გამოშვებით ფერაინებს ესტუმრებიან ხოლმე და სხვა-და-სხვა საგნებზედ მდაბიო ენით ხალხს ლექციებს უკითხავენ. ლექტორებს „საზოგადოებისგან“ გასამრჯელო ეძლევათ. თითო ხალხისთვის წაკითხული ლექცია „საზოგადოებას“ 20—25 მანათამდე უჯდება. ამ ხარჯიდგან ნაწილს ფერაინებიც იხდიან. ფერაინი, რომელშიაც „საზოგადოების“ ლექტორი ლექციას წაიკითხავს, 15 მარკას ანუ 7 მანათს იხდის. 1871 წლიდან 1895 წლამდე „საზოგადოებას“ თავის ლექტორებისთვის 4000 საჯარო ლექცია წაუკითხვინებია და ამისთვის 205 ათასი მარკა ანუ, ჩვენს ფულზედ, 100 ათასი მანათი დაუხარჯავს.

ლექციები შეიძლება ორ კატეგორიად გაიყვეს. ერთი კატეგორია სახალხო განათლების საზოგადო საკითხებს შეეხება; მეორე კატეგორიის ლექციებს-კი სხვა-და-სხვა სამეცნიერო საკითხების განმარტება აქვს საგნად. ხშირად ამ გვარ ლექციების კითხვის დროს სხვა-და-სხვა სამეცნიერო აპარატებს ხმარობენ ხოლმე. 1877 წელს პროფესორმა პისტმა „საზოგადოებას“ თვისის ფასით შედგენილი სახალხო მუზეუმი აჩუქა. ამ მუზეუმში ცხრა განყოფილება იყო. ასტრონომიული, ანატომიური, მიკროსკოპიული, ფიზიკური, გეოლოგიური და ზოოლოგიური, ისტორიული, ეთნოგრაფიული, ერთი განყოფილებაც ხელოვნებისა და ერთიც სურათების საჩვენებელი აპარატი. მასაქეთ ამ მუზეუმს ხმარობდენ ლექციების კითხვის დროს სწავლა-განათლების ფერაინები, გადაჰქონდათ ქალაქ-ქალაქად და სოფელ-სოფლად. რასაკვირველია ასეთის თრევით მუზეუმის ნივთები დაიმტვრა, ასე რომ დღეს მისი მხოლოდ ერთი განყოფილება-ღა დარჩენილა. სურათების საჩვენებელი აპარატი,—სკიოპტიკონ,—დღეს ყველა მოდიდო ფერაინს აქვს ლექციების კითხვის დროს სახმარად შეძენილი.

საჯარო ლექციებთან ერთად მოსახსენებელია სახალხო გასართობი საღამოებიც, რომლის გავრცელებას „საზოგადოება“ ძალიან ცდილობს და ხალხში ასეთ საღამოებისათვის ინტერესის გასაღვიძებლად გამოსცა ერთი წიგნაკიც: „Die Uolksunterhaltungsabede nach Bedeutung, Entwicklung und Einrichtung“ (სახალხო გასართობი საღამოები, მათი მნიშვნელობა, განვითარება და მოწყობა) და რამდენიმე ათას ეგზემპლიარად დაარიგა. თუ დღეს გერმანიაში გასართობ საღამოების გამართვა საყოველთაოდ გავრცელებულია, ამაში „სახალხო განათლების გამავრცელებელ საზოგადოებას“ უეჭველია უდიდესი ღვწლი მიუძღვის.

„საზოგადოების“ მეორე მთავარ საზრუნავ საგანს შეადგენს სახალხო წიგნთსაცავ-სამკითხველოების გავრცელება. ამ საქმეში პირველი მისი ნამუშავარი არის „სახალხო წიგნთსაცავების კატალოგი,“ რომელიც მან პირველად 1872 წელს გამოსცა და შემდეგ თან-და-თან გადიდა. კატალოგში ნაჩვენებია განსაკუთრებით სახალხო წიგნთ-საცავებისთვის სასარგებლო წიგნები. 1877 წელს მან გამოსცა აგრეთვე „სახელმძღვანელო სახალხო წიგნთსაცავების მოსაწყობად.“ აქ დაბეჭდილია სამაგალითო წესდება წიგნთსაცავისა და გარკვეული სხვა-და-სხვა წვრილმანი საკითხი მის მართვა-გამგეობის შესახებ. მოგვყავს აქ ეს სამაგალითო წესდება, რომელიც ძალიან მოკლეა,—მხოლოდ 8 მუხლს შეიცავს.

§ 1. ფერაინი (ადგილის სახელი) აარსებს სახალხო წიგნთ-საცავს, რომელიც 190... წლის... (რიცხვი) უნდა გაიხსნას.

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.

ᲙᲣᲙᲘᲐ, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი ᲛᲐᲒᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ, № 21 (ᲕᲝᲠᲝᲜᲪᲝᲕᲘᲡ ᲥᲔᲒᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ).

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

ᲓᲘᲚᲘᲗ:

Ვ. Ი. ᲭᲘᲭᲘᲜᲐᲫᲔ—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

Ი. Ზ. ᲤᲔᲓᲝᲠᲝᲕᲘ. შინაგან და ბავშვებისა. 9—10 ს.

Ზ. Ზ. ᲛᲐᲦᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.—შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. Ა. ᲛᲣᲚᲘᲜᲘ—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

Ი. Პ. ᲐᲮᲐᲚᲨᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

Ა. Მ. ᲨᲐᲢᲘᲚᲝᲕᲘ—თვალის, 10—11 საათ.

ᲔᲥᲘᲛᲘ-ᲥᲐᲚᲘ Მ. ს. ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲔ ბავშვებისა—11—12 ს.

Დ. Ა. ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

Ა. Ზ. ᲑᲐᲠᲡᲣᲙᲝᲕᲘ — დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათ.

Ვ. Ლ. ᲛᲐᲠᲙᲔᲕᲘᲩᲘ.—საქირურგო, 12½—1½ საათ. სამშაბათობით. 3—4.

Ი. Დ. ᲑᲔᲖᲗᲐᲑᲔᲖᲝᲕᲘ. სიფილისისა, კანისა და საშარდესი, 1½—2 ს.

ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲗᲘ:

Ი. ნ. ᲗᲣᲛᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

ᲙᲕᲘᲠᲐᲝᲑᲘᲗ:

Ზ. Ზ. ᲛᲐᲦᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲘ

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყორლანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (ნ.)

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

—

* * დღეს, 4 ოქტომბერს, ტფილისის სათავად-აზნაურო თეატრში, ქართული დრამატიული დასის არტისტები დ. ერისთავის 5 მოქმედ. დრამას „სამშობლოს“ წარმოადგენენ.

ᲠᲩᲔᲕᲐ-ᲓᲐᲠᲘᲒᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲔᲪᲔᲠᲢᲘᲡ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲡ

ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲚᲝᲡᲘ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡᲐ ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

ᲒᲣᲜᲕᲐᲚᲢᲔᲠᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲜᲢᲝᲠᲝ ᲪᲝᲚᲓᲜᲐᲗᲐ

ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ

ᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲝᲛᲔᲠᲪᲘᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐᲜ

(წელიწადი მეორე)

ორისავე სქესის წერა-კითხვის მცოდნეთათვის და პრაქტიკული კურსები **ᲜᲔᲛᲔᲪᲣᲠᲘᲡ ᲔᲜᲘᲡᲐ** მოზრდილთათვის.

სწავლა დაიწყება 2 ოქტომბერს. დაწვრილებით ცნობების შეტყობა შეიძლება ტფილისის საკომერციო სასწავლებელში (ჩუღურეთი, საკუთ. სახლი), ყოველ დღე 9—2 საათამდე, კვირაობით 12—2 საათამდე.

(10—ნ.—8)

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲐᲛᲮᲡᲜᲐᲒᲝᲕᲘᲡ

სამკერვალოში და სახელოსნო სკოლაში იღებენ ყოველგვარ **ᲡᲐᲙᲔᲠᲐᲕᲘ**: კაბებს, თეთრეულს, ქარგვას ᲩᲔ საცვლებზედ ამოჰკერავენ ნიშნებს (мѣтки). ბარონის ქუჩა, № 12.

(10—უ—10)

*) იხ. „ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“ № 209.

*** ქუთაისიდგან გვწერენ: მმართებლობისგან დანიშნული ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის მმართველი ბ. მედნიკოვი ეს ერთი კვირაა, რაც ჩამოვიდა. ვიდრე ბანკში გამოცხადდებოდა, თავისს ბინაზედ ჰქონდა ბანკის საქმეების შესახებ დირექტორებთან მოლაპარაკება.

29 სექტემბერს კი თვითონ გამოცხადდა ბანკში და შემდეგი სიტყვით მიჰმართა თავის თანა-მოსამსახურეთ: „მოგეხსენებათ, რაც ცვლილება მოხდა ამ დაწესებულებაში; მონდობილი მაქვს აქამომდე შენიშნული ბანკის ნაკლულოვანებანი შეძლებისა და-გვარად და ბანკის წარსამატებლად გავასწორო, მაგრამ ნათქვამია: „ОДИНЪ ВЪ ПОЛѢ НЕ ВОЙНЪ“-ო, მეც ასე ვფიქრობ: ასეთი მძიმე საგნის მოვლა უთუოდ გამიძნელდება, თუ თქვენის გამოცდილებით და ერთგული შრომით ხელი არ შემიწყეთ. სრული იმედი მაქვს, ყველანი ვეცდებით და ამ დაწესებულების გასაუმჯობესებლად შესაფერს შრომას არ დავიშურებთ.“ ამის შემდეგ კასსა შეამოწმა.

*** დღეს, 4 ოქტომბერს, მებაღეთა და მეტყევეთა სექციის სხდომის გაგრძელებაა დანიშნული.

*** როგორც გვატყობინებენ, ჩვეულებრივს ქართულს საღამოს მოსკოვში ამ წელს რუსეთის ცნობილი მწერალი ანტ. ჩეხოვი თურმე ჰმართავს 21 ოქტომბერს.

*** ფინანსთა სამინისტროს განკარგულებით გარდაწყვეტილი თურმეა მამულების დაფასების წესები, რომლითაც დღეს საადგილ-მამულო ბანკები ხელმძღვანელობენ სესხის გაცემის დროს, გადასინჯულნი იქმნენ.

*** ტფილისის საბაღოსნო სკოლაში მოწაფეთა მისაღები გამოცდა ამ თვის ნახევარში დაიწყება. თავისუფალი ადგილი სულ 50-მდეა.

*** როგორც ხმა დადის, საერო განათლების სამინისტრო მალე თურმე ფრიად საყურადღებო საგანს განიხილავს იმის შესახებ, თუ თავისუფალნი ყურის მგდებელნი უნივერსიტეტებში რა წესით უნდა იქმნენ ხოლმე მიღებულნი.

*** კარგის სწავლისა და ყოფა-ქცევისათვის ტფილისის რეალურს სასწავლებელს ამ წელს ქართველთაგანი სამი დაუჯილდოვებია: დ. ჯანაშვილი, ლ. მელვინეთხუცესიშვილი და ს. ჩარექიშვილი.

*** ტფილისის სამხატვრო სასწავლებელის გახსნა 7 ოქტომბრისა თვისა აქვთ განზრახული.

*** როგორც ბაქოდგან იუწყებიან, ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ 2 ოქტომბერს საბუნჩის რკინის გზის შტოს კასსა გაუტეხნიათ და 9 მან. და 10 კაპ. ფული წაუღიათ.

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ.

—

ამ დღეებში ტეხნიკოსთა კომისიამ უკვე დაათვალიერა გამოფენაზედ გამართული ეგრედ წოდებული „რუსული მთები“ ᲒᲔ სცნო, რომ მკვიდრად არის იგი აგებული. ეს „მთები“ ხუროთ-მოძღვარმა ს. კლდიაშვილმა გამართა. სიგრძე 65 საჟენამდე აქვს. ზედ პატარა ვაგონები დასრიალობენ. ხალხი დიდის სიამოვნებით ეტანება ამ გასართობს.

სახელდახელო

(ყბად-ასაღები—წყალ-წასაღები ამბავი)

—

გამოფენამ და ჩვენმა საასწლეო გამოფხიზლებამ ყოვრი რამ ჩვენის ცხოვრების წვრილმანი, კი არ გამოგვაპარა, უყურადღებოდ დაგვატოვებინა.

ეს ნაკლი ცოტ-ცოტად შევივსოთ.

აი ერთი „ხელის-ხელ საგოგმანებელი“ მარგალიტი.

ამ ხუთიოდე წლის წინად ტფილისში სცხოვრობდა ამ ყბად ასაღების გმირი—დავით მკერვალიშვილი.

ვგონებ ნოქარი იყო, ან წინდებსა და ლეჩაქებსა ჰყიდდა ჩვენს „კურთხეულს“ თამამშოვის ქარვასლაში, კარგად არ მახსოვს.

აქ ამხანაგებ შორის ნდობა გაიკეთა, ნოქრებში ორმოციოდე ოუმანი მოაგროვა ვითომ-და მომგებიან ბილეთების საამხანაგოდ სასყიდლად, თავი გაიხაზინადარა და... ალაჭრა.

ბაქოში ამოჰყო თავი—ამ ჩვენს ამერიკაში, რომელსაც ყველა კეჩ და ჯიბე ცალიერი ადამიანი ეტანება სასუნსლავად და „ოქროს მატყლოვან ვერძის“ ხელთ ჩასაგდებად. ყურადღების მისაქცევად ამ ახალმა არგონავტმა მოქმედება იმითი დაიწყო, რომ მამულიშვილად და ქვეყნის გულშემატკივრად აჩვენა თავი ბაქოელ ქართველებსა და არა-ქართველებს.

გამოითხოვა რუსულ-ქართულ წიგნთ-საცავის ნება-რთვა, გარდა-ახდევინა ყველა ულ-შემატკივართ და კარგის საქმის თანამგრძნობელთ „წვლილი“ და...

თითონაც ირგო, ქვეყანასაც არგო.

მთელმა ბაქომ და ბაქოდგან კავკასიამაც შეიტყო, რომ ქვეყნად არსებობდა პეტრე პეტრეს ძე ბობჩინსკი... უკაცრავად,—ბ-ნი დ. მკერვალიშვილი, დამაარსებელი წიგნთ საცავისა.

გაიარა ხანმა. ბ-ნს დავით მკერვალიშვილს ქარვასლის ხელობის ჟინმა მოუარა ᲒᲔ წიგნთ-საცავში ვაჭრობა გაჰმართა სხვისის წაღებისა და ტანისამოსისა, აღებ-მიცემობა დაიწყო.

ეს არ უყაბულეს და ანგარიში მოსთხოვეს.

იტკიცა: „ყველაფერი ჩემიაო!“ და დაებღაუჯა ორის ხელით წიგნთ-საცავს; დიდის ვაი-ვაგლახით გამოჰგლიჯეს ამ ახირებულს ანბანის ძლივს მცოდნე ქვეყნის განმანათლებელს და გადასცეს თავად ვ—ს.

დ. მკერვალიშვილმა ამითი არ შეირცხვინა, მით უმეტეს, რომ სირცხვილთან იგი, ვითარცა გამბედავი და კადნიერი კაცი, ცოტა უმძრახად ჰბრძანდება თურმე, ადგა და ხელ-მეორედ გამოითხოვა მეორე სამკითხველო წიგნთ-საცავის დაარსების ნება-რთვა.

გამოითხოვა, მისცეს და გახსნა კიდეც შაგიდანოვის ქარვასლაში.

ქარვასლელი ისევ ქარვასლასავე დიუბრუნდა.

ქართულ-რუსული წიგნთ-საცავი უფულობისა გამო დროებით გააუქმეს, მაგრამ აქ პატრონად და მზრუნველად ქ ნ მ—ნი გამოუჩნდა, შრომა და ჯაფა არ დაიშურა და კვლავ გამოაცოცხლა.

ბოლოს ბაქოს თვით-მმართველობას მიჰმართა შემწეობისათვის და საბჭომ დადგინა: „მიეცეს ქ-ნ მ—ნს ქართულ-რუსულ იაფ სამკითხველოსათვის ერთ-ჯროებით შემწეობად 600 მან.“

ქ-ნი მ—ნი სადღაცა წავიდა, ისე რომ ფულის მიღება ვერ მოასწრო, მაგრამ ბ-ნი დ. მკერვალიშვილი არსად წასულა, იქ იყო და ელოდა—ანკესის ძაფი როდის შეინძრევაო.

ძაფი შეინძრა, მიბრძანდა იგი გამგეობის წევრ ბ-ნ საფარ-ალიევთან და თამამად მოახსენა:

— ფულისათვის მოვედიო!

— რა ფულისათვის? გაიოცა ბ-ნმა საფარ-ალიევმა.

— აი, შემწეობა რომ გადამიწყვიტეთ სამკითხველოსათვის.

— ჰო, ჰო, მახსოვს! ქართველი ხართ?

— დიახ.

— ეხლავე, ამ წუთას, დაბრძანდით!

ბ-ნმა საფარ-ალიევმა კალამს ამოავლო ხელი და... მკერვალიშვილს ექვსი ათ-თუმნიანი ჩააბარეს.

მიიღო ფული და ახლა ბაქოდგან გაჰქრა.

ეს ამბავი ტყუილი არ გეგონოთ: ამ სახით და კილოთია მოთხრობილი იგი „ნოვოე ობოზრენიეში“ № 5825.

არც დიდის ხნის ამბავი გახლავთ — 21 სექტემბერს არის დასრულებული. თუ აქამდე არ გავიგეთ, ეხლა ვიგებთ, იმიტომაც, სხვათა შორის, რომ გვეგონა მკერვალიშვილი ხმას ამოიღებდა და უარ-ჰყოფდა... ზრდილობიანობისათვის მაინც.

არ უარ-ჰყო, ალბად არა სცალიან: ათ-თუმნიანების ალერსშია.

თუ გაჰქრა, საიდგან და როგორ უარ-ჰყოფდაო? იკითხავთ.

დიაღ, გაჰქრა, მაგრამ სწორედ ისე, როგორც ამ რამდენისამე წლის წინად გაჰქრა ტფილისიდგან ბაქოს.

ეხლა ბაქოდგან ტფილისში გამომქრალა და გოლოვინის პროსპექტზედ დასეირნობს წკეპლითა და ხელთათმანებით.

ამბობენ, ქ-ნმა მ—ნმა საჩივარი შეიტანა ბაქოს ქალაქის გამგეობაზედ, რომ არ უნდა მიეცათ მკერვალიშვილისათვის ფულიო.

მართალსა ჰბრძანებს და იქნებ გაამტყუნონ კიდეც ბ-ნი საფარ-ალიევი, რომ ასეთი შეცდომა მოუვიდა, მაგრამ ჯერ-ჯერობით მაინც ქართულ-რუსული სამკითხველო ხახა-მშრალი გახლავთ...

მკერვალიშვილმა-კი, როგორც ჰხედავთ, თავისს გვარს არ უმტყუნა: კარგად „შეჰკერა“ ქალაქ ბაქო!...

ჩიორა

უცხოეთი

—

ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘ ᲐᲤᲠᲘᲙᲐ. სტრეკსტროის ბრძოლაში ბურების კომანდარი პრეტორიუსი სასიკვდილოდ დაუჭრიათ. ოთხი ინგლისის გენერალი 20,000 ჯარის კაცით სცდილობს შუაში მოიმწყვდიოს გენერალი ბოტა და იმისი რაზმი ნატალის და ზულულანდის საზღვარზე.

— გაზ. „Star“-ის სიტყვით, მეფე ედუარდ მე 7-ემ წინადადება მისცა მინისტრებს მიეილაპარაკონ იმ პირობების გამოსარკვევად, რომლებითაც შესაძლოა ომის დასრულება

§ 2. წიგნთ-საცავის მართვისთვის ირჩევა გამგეობა, რომელიც ფერაინის გამგეობისა და ერთის ბიბლიოთეკარისგან შესდგება. ბიბლიოთეკარის ძოვალეობა არის წიგნთსაცავის ტეხნიკურად მართვა და წიგნების გაცემა. გამგეობა და ბიბლიოთეკარი სამის წლის ვადით აირჩევიან. ყოველ წლივ ფერაინის საზოგადო კრებას ბიბლიოთეკარმა უნდა წარუდგინოს ანგარიში წიგნთ-საცავის მდგომარეობისა და მკითხველთა რაოდენობისა.

§ 3. ყოველ წლის ბოლოს, საზოგადო კრების წინ ბიბლიოთეკარი წიგნთ-საცავს რევიზიას უშვრება და განხილვის შედეგს გამგეობას აცნობებს.

§ 4. წიგნთ-საცავიდან მკითხველს წიგნებს უსასყიდლოდ ათხოვებენ. ვისაც წიგნთ-საცავით სარგებლობა ჰსურს, ბიბლიოთეკარს უნდა გამოართვას წიგნების ნათხოვრობის ფორმულიარი (თითო ეგზემპლიარი ნახევარ კაპეიკი ღირს), უნდა მოაწეროს ზედ ხელი და ამით ვალდებული გახდეს, ნათხოვარი წიგნი არა უგვიანეს ორის კვირისა გაუფუჭებლად დაუბრუნოს წიგნთ-საცავს.

ბიბლიოთეკარს უფლება აქვს წლის განმავლობაში თავის ნებით ფერაინის კასსის ფულიდან ათ მარკამდე (5 მ.ნ.) დახარჯოს წიგნთ-საცავის საჭიროებისთვის (წიგნების კაზმვა და სხვა). ამაზედ მეტის ხარჯის მოხდენა ფერაინმა უნდა გარდასწყვიტოს.

§ 5. შემოწირული წიგნები ბიბლიოთეკარმა უნდა დანომროს და კატალოგში შეიტანოს. გარდა ამისა, კატალოგში შემომწირველის სახელიც უნდა აღინიშნოს.

§ 6. წიგნთ-საცავი თუ მოისპო,—ამის გარდაწყვეტა ფერაინის საზოგადო კრებას შეუძლია,—„სახალხო განათლების გამავრცელებელ საზოგადოებას“ უბრუნდება უკანვე მისი მოცემული წიგნები; სხვა წიგნები-კი, თუ შემომწირველებმა სხვანაირად არ მოისურვეს, ადგილობრივის სახალხო სკოლის წიგნთ-საცავს დარჩება.

§ 7. წიგნების თხოვება სწარმოებს ოთხშაბათობით საღამოს 7-დან 9 საათამდე და კვირაობით 11 დან 1 საათამდე.

§ 8. „სახალხო განათლების გამავრცელებელ საზოგადოების“ დაუთანხმებლად ამ წესდების მე-6 მუხლის არც შეცვლა და არც მოშლა არ შეიძლება.

ეს არის სულ სანიმუშო წესდება, რომელიც თითქმის ყველა „საზოგადოების“ დაარსებულია ან მის ხელშეწყობილს წიგნთ საცავებს უდევს საფუძვლად.

გარდა ამისა, თავისს საზოგადო კრებებზედ „საზოგადოებას“ მუდამ მსჯელობა აქვს ხალხში წიგნთ-საცავების გავრცელებაზე. აგრეთვე „საზოგადოების“ ჟურნალ „Der Bildungs-Verein“-ში ყოველთვის იბეჭდება წერილები ამ საგანზედ. 1891 წლიდან ხსენებულს ჟურნალში გაიხსნა მუდმივი განყოფილება, რომელსაც სათაურად აწერია: „სახალხო და ფერაინების წიგნთ-საცავებს ვურჩევთ შეიძინონ“. აქ ჩამოთვლილია ის ახლად გამოსული წიგნები, რომლებიც წიგნთ-საცავებისთვის უფრო გამოსადეგია. 1896 წლიდან „საზოგადოებამ“ დააარსა ჟურნალის დამატებად ერთი ფურცელი, სახელად „სახალხო წიგნთ-საცავი“, მხოლოდ წიგნთ-საცავების საკითხების განსახილველად.

„საზოგადოება“ ან თვითონ აარსებს წიგნთ-საცავებს ან ხელს უწყობს ღარიბს სოფლებსა და ქალაქებს მათს დაარსებაში. დახმარებას ზოგს ფულით უწევს და ზოგს წიგნებით. 1892 წლის „Bildungs-Verein“-ის № 2-ში „საზოგადოებამ“ დაბეჭდა შემდეგი მოწოდება:

„საკითხავი მასალა ხალხისა და მოზარდ თაობისათვის.“ გერმანელს ხალხს აქვს საუცხოო ეროვნული ლიტერატურა, რომელსაც შეუძლიან ყველა წოდების კაცს გონებრივი და ზნეობრივი განათლება მისცეს. მაგრამ ხალხის კაცნი მრავალ ათასობით ჩვენის პირველ ფილოსოფოსებისა და მგოსნების თხზულებებით ვერ სარგებლობენ, რადგან კარგის წიგნების შესაძენად შეძლება აკლიათ. სახალხო წიგნთ-საცავი შესაძლებლად ჰხდის, რომ ჩვენის ეროვნულის მწერლობის საუნჯით უფლარიბესმაც-კი ისარგებლოს.

„სახალხო განათლების გამავრცელებელი საზოგადოება“ წიგნთ-საცავების ახლად დაარსებას და ღარიბ ადგილებში დაარსებულთათვის შეწევნას თავისს მთავარ მოვალეობად სთვლის და 21 წლის განმავლობაში შეძლებისადაგვარად ამ საქმეს კიდეც ემსახურება. მაგრამ, ჩვენმა ამაგმა რომ მეტი ნაყოფი გამოიღოს, საჭიროა გარეშე დახმარებაც, და ამიტომ სახალხო განათლების ყველა მომხრეს მივმართავთ თხოვნით, წიგნები და ჟურნალები გადმოგვცენ ჩვენ ღარიბ სოფლებს ქალაქების და სკოლების წიგნთ-საცავებისათვის დასარიგებლად.“

ამ მოწოდების შემდეგ წელიწადი ისე არ გაივლის, რომ „საზოგადოებას“ რამდენიმე ათასი ცალი წიგნი არ მიუვიდეს საჩუქრად სხვა-და-სხვა პირთაგან. სახელდობრ 1892 წლიდან 1900 წლამდე მას 8931 ცალი წიგნი მიუღია უსასყიდლოდ და დაურიგებია ღარიბ წიგნთ-საცავებისათვის. ამავე ხნის განმავლობაში დაუარსებია 1210 წიგნთ-საცავი და 520-ისთვის დახმარება აღმოუჩენია; ამისთვის „საზოგადოებას“ ფულად 54480 მარკა დაუხარჯავს.

თავის დასაბამითვე „საზოგადოებამ“ წიგნთ-საცავების გავრცელებასთან ერთად, ხალხში წიგნების გასაღებასაც მოჰკიდა ხელი. ნიშნავ და თავისს აგენტებს ᲒᲔ აყიდვინებდ დაბალ ხალხისათვის სასარგებლო წიგნებს. მაგრამ 1885 წლიდან „საზოგადოებამ“ წიგნებით ვაჭრობას თავი დაანება. თვით წიგნების გამომცემლები ისე ერთგულად და ენერგიულად სცდილობენ თავიანთ გამოცემების გასაღებას, რომ „საზოგადოების“ დახმარება ᲒᲔ ცალკე მეცადინეობა სრულიად მეტი იყო. იშვიათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის სიტყვით, მეფის წინადადება გამოწვეულია ევროპის მონარქებთან დიპლომატიურის მოლაპარაკებით.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ. კოვეიტის საქმის გამო კონსტანტინეპოლიდამ იტყობინებიან, რომ კოვეიტი ინგლისის მატროსებმა დაიჭირესო.

— ინგლისის ეკონომიური გაზეთები საჭიროდ სთვლიან საყოველთაო დემონსტრაციები იქმნას გამართული მთავრობის წინააღმდეგ, რომელმაც მეტის მეტად გააჭიანურა ბურებთან ბრძოლა და ამით დიდი ვნება მიაყენა ინგლისის ფინანსებს და ეკონომიურს ძლიერებას. ამ დემონასტრაციის გამართვაში ინიციატივა ბირჟებს, ბანკებს და სავაჭრო პალატებს უნდა ეკუთვნოდესო, ამბობს გაზეთი „Statist.“

ᲠᲣᲡᲗᲘ. რუსეთის ელჩმა მიჰმართა პორტას ნოტით, რომლითაც ენერგიულად თხოულობს მოსპობილ იქმნას არეულობა სომხეთში.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ. საფრანგეთის საელჩოს მოთათბირემ, ბაპსტმა, გადასცა პორტას პარიჟის კაბინეთის ნოტა, რომლითაც ლორანდოს მემკვიდრეების სასარგებლოთ თხოულობს წინანდელივით 344,000 გირვანქას და ამ ფულის დაუყოვნებლივ გადაცემას ბაპსტის ხელით. ამ ნოტის მიღების შემდეგ ხონთქარს ორი საათის თათბირობა ჰქონდა მუნირ-ბეისთან, რომელიც წინად ელჩად იყო პარიჟში, და შემდეგ ხონთქარმა მინისტრების რჩევა მოახდინა.

— რადგანაც მუშათა კონგრესმა ლოისში დაადგინა მთამადნის მუშების საყოველთაო გაფიცვის მოხდენა, ამიტომ მთავრობამ გადასწყვიტა, წინადვე როგორ უნდა გაუფთხილდეს ამ გაფიცვას. მთავრობის აზრით, გაფიცვა ორის კვირის მეტს ვერ გასტანს, თითონ მუშები-კი ჰფიქრობენ, რომ გაფიცვა სამი თვეზე ნაკლებ არ გაგრძელდება.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲛᲐᲢᲘᲐᲜᲔ

—

ტფილისის საარტისტო საზოგადოების თეატრი. გუშინ-წინ, 2 ოქტომბერს, ტფილისის საარტისტო საზოგადოების თეატრში რუსულ დრამატიულ დასის არტისტების მიერ დიაჩენკოს 5 მოქ. კომედია „Гувернеръ“ იქმნა წარმოდგენილი, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ თვითონ ქ-ნი ვოლგინა (არტისტი საიმპერატორო თეატრებისა)—ელისაბედ ვასილის ასული რეზკოვისა, გენერლის ქვრივი და მდიდარი მემამულე, ბ-ნი საკალსკი—ვლადიმირ ნიკოლოზის ძე შვილი ამისი, ბ-ნი ვ. მ. პეტიპა—ჟორჟ დორის, გუვერნიორი, ბ-ნი მაქსიმოვი—ივანე პეტრეს ძე გრეჩკინი, ლარიბი მემამულე, მეზობელი რეზკოვისა, ბ-ნი პეტროვი—მიხეილ პეტრეს ძე, ძმა ივანესი, ქ-ნი ევგენიევა—მაშა, ასული ივანე პეტრეს ძისა, ქ-ნი ალინსკაია—პერპეტუა ეგოროვნა ხვოროსტინისა და სხ. მოთამაშეთაგან თავისი როლი კარგად შეასრულეს: ქ-ნმა ვოლგინამ მდიდარის, ფუფუნებაში აღზრდილის, მედიდურ და ამაყ, ცრუ მეზნეობე, ღვთის მოყვარული რეზკოვას როლი; ბ-ნმა პეტიპამ—ფრანგი გუვერნიორისა, რომელსაც ქვეყნად მხოლოდ ნადირობა, ღვინო და არშიყობა სწამს, სხვა არასფერი და რეზკოვას ერთსა და იმავე დროს შვილსაც უზრდის და კიდეც ეარშიყება; ქ-ნმა ევგენიევამ—ახალგაზრდა გასათხოვარ ქალის მაშას როლი, რომელიც რეზკოვასთან აღიზარდა და ბოლოს რეზკოვასავე ერთად-ერთს შვილს ვლადიმირს შეიყვარებს, მაგრამ უარს იტყვის ამ სიყვარულზედ, როცა ჰნახავს, რომ ყოვლად გახრწნილი რეზკოვა შვილს ნებას არ აძლევს და შვილიც დედას ემორჩილება და მაშას უარსა სწერს; ბ-ნმა მაქსიმოვმა—მაშას მამის კეთილისა, პატიოსანისა და შვილის უზომოდ მოყვარულ მოხუცის როლი და ქ-ნმა ალინსკიამ—მეჭორავე და მაჭანკალ დედაკაცის პერპეტუა ეგოროვნას როლი. რაც შეეხება ბ-ნს საკალსკისა (ვლადიმირი) და ბ-ნს იაკოვლევს (მიხაილ პეტროვიჩი, ძმა მაშას მამისა), ესენი სუსტები იყვნენ, განსაკუთრებით-კი ბ-ნი საკალსკი.

საზოგადოდ პიესამ კარგად ჩაიარა, მოთამაშენი ბევრჯელ გამოიწვიეს მოწონების ნიშნად. ხალხი საკმაოდ დაესწრო.

დამოუკიდებელი.

ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲛᲐᲢᲘᲐᲜᲔ.

—

გუშინ-წინ, 2 ოქტომბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის პირველმა დეპარტამენტმა, სხვათა შორის, განიხილა საქმე ქუთაისის გუბერნიისა და მაზრის, სოფელ ჯვარის მცხოვრებთა გიორგი გიორგაძისა და მიხეილ მაკურაძისა, რომელთაც ყაჩაღობა ჰბრალდებოდათ. საქმის გარემოება შემდეგია: 1900 წლის 24 დეკემბერს გიორგაძე და ბაკურაძე ქუთაისიდგან ექვსი ვერსის მანძილზე მედუქნე არჩილ ცირმილაძის დუქანში ყოფილან, სადაც რამდენისამე ხნის შემდეგ გამოუვლიათ ღამის გასათევად რაჭის მაზრის სოფელ ჩასავლის ოსებს ტურიშვილსა და თამაზაშვილს, რომელთაც ქუთაისში რაღაც ჰქონიათ გასაყიდად, შინა ბრუნდებოდნენ და ამ დუქანთან შემოღამებიათ. როგორც საბრალმდებლო ოქმშია ნაჩვენები, გიორგაძეს ოსების ვინაობა გამოუკითხავს. ცოტა ხნის შემდეგ გიორგაძე და ბაკურაძე სხვებთან ერთად შემსხდარან ცხენებზე და წასულან. რადგანაც ოსებს დუქანში დასადგომი ადგილი ვერ უშოვნიათ, ისინიც შემსხდარან ცხენებზედ და წასულან. გზაზე შემოჰხვედრიათ უკან დაბრუნებულნი ბაკურაძე და გიორგაძე, რომელნიც ისევ მიბრუნებულან და გაჰყოლიან მგზავრს ოსებს; ამ უკანასკნელთ ეჭვი აუღიათ, რომ ისინი კარგს არას უპირებდნენ, გადაუხვევიათ ერთ ადგილზე და ჩამომხდარან იქვე ღამის ვასათევად. ცოტა ხნის შემდეგ, როგორც ოქმშია, ბრალდებულნი თავს დასხმიან ტურიშვილსა და თამაზაშვილს, რომელთაგან ერთს მოუსწვრია ცხენზე შეჯდომა და გაქცევა, ხოლო მეორისათვის მათ 50 მან. ჯიბიდგან ამოუცლიათ და ცხენი წაურთმევიათ. ოსები ამის შემდეგ ისევ ქუთაისში დაბრუნებულან და მაზრის უფროსისათვის გამოუცხადებიათ ყოველივე. როდესაც გიორგაძე და ბაკურაძე დაჭერილნი ოსებისათვის წარუდგენიათ, მათ განუცხადებიათ, რომ ჩვენი გამცარცველნი სწორედ ეგენი იყვნენო.

პირველად ეს საქმე განუხილავს ქუთაისის ოლქის სასამართლოს, რომელსაც დამნაშავედ უცვნია ბრალდებულნი და გარდაუწყვეტნია მათთვის ყოველისავე უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და თითოსათვის კატორგაში გაგზავნა ოთხი წლით. ბრალდებულთ ოლქის სასამართლოს განაჩენი განუსაჩივრებიათ ტფილისის სამოსამართლო პალატაში, რომელმაც, 2 ოქტომბერს განიხილა რა ეს საქმე, გააუქმა ოლქის სასამართლოს განაჩენი და ბრალდებულთ გარდაუწყვიტა ზოგიერთი უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში ოთხ-ოთხის წლით გაგზავნა.

ᲤᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲒᲐᲜ

(ამოკრეფილი ამბები)

ბავშთა სათამაშოების წარმოება გერმანიაში ძალიან ყოფილა განვითარებული. მრეწველობის ამ დარგში 50,000 კაცი მუშაობს თურმე. ყოველ წელიწადს გერმანიიდგან გაიქვთ 15 მილიონ მანეთის სათამაშო; რაც თვით გერმანიაში საღდება, ის კიდევ მეტია. სათამაშოების წარმოება ძალიანაა განვითარებული ნიურენბერგსა და ფურტში—ბავარიას, ზონენბერგში—საქრენ-ვეიმარს, ტიურინგიასა და ერცგებირში—საქსონიას. ნიურენბერგში სათამაშოებისათვის უმთავრესად ლითონეულსა ჰხმაროობენ; ამზადებენ ვაჟებისათვის პატარა რკინის გზებს: ორთქლმავალებს, ვაგონებს, რელსებს, პაწაწკინა გემებს, ჯარისკაცებს. ზონენბერგში მასალად უფრო ხეს, ფაიფურს, მინას და ქაღალდს ხმაროობენ და ამზადებენ სათამაშოებს გოგოებისათვის. ერცგებირში სულ პატარა ბავშვებისათვის ამზადებენ სათამაშოებს: ძროხებს, ცხენებს, ირმებს, ჟირაფებს და სხვა ცხოველებს. ზეიფენში 10,000 კაცი მუშაობს ხეთამაშოებზედ, აკეთებენ იქ ხისგან ცხოველებს. ხის გარდა სხვა არა მასალას არა ჰხმაროობენ შრომის განაწილება საოცრად არის თურმე განვითარებული. ბევრი სოფელი ცხოვრების სახსარს მოხოლოდ იმით იძენს, რომ ხის ცხენებისათვის კუდებსა და ფაფრებს ამზადებს. სხვა სოფლები ტიკინებისათვის თავებს ამზადებენ ტიკინების თვალების გასაკეთებლად განსაკუთრებული სახელოსნო არსებობს ზონენბერგში. სათამაშოების წარმოებას გერმანიაში ყველაზედ ადრე (მე-15 საუკუნეში) ზონენბერგი შეუდგა. ამ ქალაქიდგან გავრცელდა მთელს ევროპაში ცვილის ტიკინები. დღეს-კი ამ წარმოებით გერმანიაში ყველაზედ მაღლა ნიურენბერგი სდგას.

* *
*

ლუდი, როგორც ვუწყით, ყველაზედ ძალიან ნემენცებს უყვარს. არსად იმდენ ლუდს არა სვამენ, რამდენსაც ბავარიაში, მაგალითად. იქ თითო კაცზედ 230 ლიტრი ლუდი მოდის მეორე ადგილი ამ მხრივ ბელგიას უჭირავს—169 ლიტრი, შემდეგ ინგლისს—145, დანიას—85, შვეიცარიას—55, შერთებულ შტატებს—47, ავსტრიუნგრეთს—44, ნიდერლანდიას—40, საფრანგეთს—24, ნორვეგიას—15 და შვეციას 11 ლიტრი.

* *
*

როგორც ბერლინის ზოოლოგიურ ბაღის ცნობებიდგანა სჩანს, სპილო დღეში 120-დგან 150 ლიტრამდე წყალსა სვამს თურმე; ეს ზამთარს, ზაფხულში 200 ლიტრამდეც სვამს. ინდოეთის მარტო რქა 120 ლიტრამდე სვამს; ბეგემოტი უფრო მეტს, ხოლო ლომები ცოტა ნაკლებს. თავიანთ სამშობლოში, სადაც ერთი სამად და ოთხად უფრო ცხელა, ეს ცხოველები ბევრად მეტ წყალსა სვამენ თურმე.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ.

—

ვაუწყებ პატივცემულს ქართველს საზოგადოებას, რომ ამა წლის 7 ივლისს გორში გამართულ წარმოდგენიდგან წმინდა შემოსავალი დარჩა 236 მ. 50 კ. აქედგან ნახევარი 118 მ—25 კ. გადავეცი გორის პროგიმნაზიის უფროსს კნ. მაყაშვილისას, ხოლო მეორე ნახევარი

დარჩება გერმანიაში ისეთი ოჯახი, რომელსაც ამა თუ იმ გამომცემლის ან წიგნის მაღაზიის აგენტი კარზედ არ მიადგეს და რაიმე წიგნი არ შეაძლიოს საყიდლად. განსაკუთრებით ქალაქის მცხოვრებთ თავი მობეზრებული აქვთ მეწიგნეების აგენტებისაგან.

ზიხართ სახლში და უცებ ზარის მძლავრი წკარუნი გესმით. მირბიხართ კარებისკენ.

— რა გნებავთ? ეკითხებით უცნობს.

— აი, ბატონო, ჟურნალის (ასახელებს) უკანასკნელი ნომერი მოგიტანეთ.

— არ მინდა.

— ინებეთ, ბატონო,—მუქთია.

თქვენც იღებთ და აგენტი გშორდებათ თავის კვრით. ეს ერთი რამ ჟურნალია, რომელიც გამომცემელს თქვენთვის გამოუგზავნია ნიმუშად. შინჯავთ, კითხულობთ, მოგეწონებათ და იბარებთ სამის თვით ან უფრო მეტის ვადითა, ერთი ნომრის ძალად მოჩეჩებით გამომცემელმა ახალი ხელის მომწერი იშოვნა.

პირველი აგენტი ეს იყო გაგშორდათ, რომ მეორე მოგადგათ კარებზედ. ამას რაღაც ახალი წიგნი მოუტანია და ხელში გაჩეჩებს. არ გინდათ გამოართვათ, ის-კი თავისას მაინც იმეორებს:

— გქონდეთ, ბატონო, არაფერს არ გახდევინებთ; გაშინჯეთ გულდასმით და,—თქვენს ნებაზედაა,—თუ მოგეწონოთ, იყიდეთ. რამდენიმე დღის შემდეგ შემოვივლი და მაშინ ან ფული მომეცით, ან ჩემი წიგნი დამიბრუნეთ. თუ ისურვებთ, შესყიდვაში შეღავათსაც მოგცემთ,—შეგიძლიანთ ფასი ნაწილ-ნაწილად გადაგვიხადოთ.

ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ამ ნაირად ხელში მოჩეჩებული წიგნი გაშინჯვის შემდეგ მოგეწონებათ და მის ყიდვას გარდასწყვეტთ. ვაჭარი ეშმაკია; იცის, რომ წიგნი, მეტადრე საინტერესო წიგნი, ადამიანს ცნობისმოყვარეობას გაუღვიძებს. ნება გაქვთ, დატოვებული წიგნი გადაათვალიეროთ და შიგ იქა-აქ წაიკითხოთ, მაგრამ ფურცლების გაჭრა-კი არ შეგიძლიათ,—და დაჭრილს წიგნს ვაჭარი აღარ მიიღებს,—და გაღვიძებული ცნობის მოყვარეობა გაიძულებთ, რომ წიგნი შეიძინოთ და ერთიანათ წაიკითხოთ.

ასეთის ხერხით გამომცემლები ათასობით ასაღებენ ხალხში თავიანთ გამოცემულ წიგნებს. მათი აგენტები გერმანიის აბოც ერთს კუთხეს არ უშვებენ მოუვლელს და ყველას მის გემოვნებისა და ხელობის შესაფერ წიგნებს შეაძლევენ ხოლმე. და რაღა გასაკვირია ამის შემდეგ, რომ „სახალხო განათლების გამავრცელებელ საზოგადოებას“ წიგნის ვაჭრობის განგრძობა საჭიროდ აღარ ეცნო და თავი დაანებებია.

დასასრულ მოვიხსენიოთ ისიც, რომ „საზოგადოებამ“ თავის არსებობის განმავლობაში რამდენიმე განსაგრძობი სახალხო სკოლა გახსნა და კარგა ბლომად ხალხში გასავრცელებლად დანიშნული ბროშურებიც გამოსცა.

ყველა ეს საგნები, რომელიც მხოლოდ გაკვრით მოვიხსენიეთ, „საზოგადოების“ მოღვაწეობის ცხადსა და ყველასთვის ადვილად შესამჩნევს მხარეს შეეხება. ხოლო „საზოგადოების მოღვაწეობაში არის ისეთი მხარეც, რომელიც უფრო დაფარულია და ამიტომ გარეშე კაცისთვის ძნელად შესამჩნევი და დასაფასებელი. „საზოგადოების“ კანცელარიას ყოველ დღე აუარებელი წერილები მისდის გერმანიის სხვა-და-სხვა კუთხეებიდგან. ზოგი წიგნთსაცავი წიგნებსა სთხოვს, ზოგი—ფულს; ზოგან ახალ ფერაინის დაარსებას აპირებენ და „საზოგადოებას“ რჩევას ეკითხებიან და სხვა-და-სხვა. ყველა ამ წერილებს წაკითხვა უნდა, პასუხის წერა, თხოვნების დაკმაყოფილება. და ასეთ წვრილმან საქმეებს დიდი მუშაობა სჭირდება, რომლის წარმოდგენა მხოლოდ იმას შეუძლია, ვისაც კანტორის მუშაობისთვის ცოტაოდენ თვალყური უდევნებია. მაგალითად, 1900 წლის განმავლობაში „საზოგადოებას“ 21962 წერილი და ფოსტის პაკეტი ეაუგზავნია გერმანიის სხვა-და-სხვა კუთხეებში, თვითონ-კი 15646 მიუღია.

ამ ჩვენის მოკლე შენიშვნებიდგანაც მკითხველი დაინახავდა, რომ გერმანულს „საზოგადოებას“ მუყაითად და ნაყოფიერად უმოქმედნია. ერთს უკანასკნელ ანგარიშში გამგეობა ამბობს, რომ ჩვენ კმაყოფილი უნდა ვიყოთ ჩვენის მოღვაწეობით და ამ მოღვაწეობის შედეგით. და ამის სათქმელად მას სწორედ საფუძველიც აქვს.

რასაკვირველია, სასიამოვნოა, როცა სადმე კარგი და ხალხის წინწამწევი საქმე იწყება და კეთდება. და ჩვენც გულწრფელად წარმატებას ვუსურვებთ გერმანულს „საზოგადოებას“ ხალხის განათლებისთვის მოღვაწეობაში. მისი ნაყოფიერი მოქმედება ჩვენთვისაც სასიამოვნოა. მაგრამ, უნდა გაფრთხილდეთ, ამ სიამოვნებას თან ახლავს სიმწარის გრძნობაც. ჭლონდები კაცი—და ეს იქნება შური ან სიხარბე იყოს?—ჭლონდები, როცა ჰხედავ, რომ გერმანიაში, სახალხო სკოლების ამ კლასსიკურს ქვეყანაში, სახალხო სწავლა-განათლებისთვის ასე ბევრს შრომობენ და აკეთებენ კერძო პირნი, მაშინ როდესაც ჩვენ, რომლებსაც ამ საქმეში ყველაზედ მეტი ენერგია და მუყაითობა გვმართებს, ძილისთვის მიგვიცია თავი და გამოღვიძებას აღარ ვაპირებთ. ჩვენცა გვაქვს ერთი გერმანულ „საზოგადოების“ მსგავსი დაწესებულება. მას სახელად „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ უწოდებენ. ქართული „საზოგადოება“ რომ ცოტათი „გაგერმანელდებოდეს“ და მეტს ენერგიას გამოიჩენდეს... ვისურვოთ!..

Ფ. ბ.

118 მ.—25 კ. გორისავე სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორს ბატ. პოგორელოვს.

დავშთები თქვენი პატივისმცემელი
კნ. მაკრინე ამირეჯიბისა.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

2 ოქტომბერი

ვოლოგდა. დილით 5 გრადუსი ყინვა იყო.

სარატოვი. გლეხთა განთავისუფლებიდგან 40 წლის შესრულების სახსოვრად მაზრის ერობამ გარდასწყვიტა—10,000 მან. გადასდოს, რომ ამ ფულით გლეხთა შვილებს საშუალო და უმაღლესს სასწავლებლებში დახმარება აღმოუჩინოს და 4 სოფელში ორ-ორი კლასიანი სასწავლებელი დააარსოს.

მოსკოვი. ოლქის სასამართლომ 2 ოქტომბერს მოისმინა საქმე „Русскій Листокъ“-ის რედაქტორ-გამომცემელის კაზეკის მიერ სერგეი შარაპოვისა, „Русское Слово“-ს რედაქტორად ნამყოფის კისელევისა და გამომცემელის სიტინის ბრალდებისა, რომელთაც ცილის წამებას უჩიოდნენ, ვითომ შარაპოვს „Русское Слово“-ში კაზეკიზედ ეჭვი მიეტანოს ვისოცკების ფირმაზედ საშანტაჟოდ იერიში მიიტანაო. შარაპოვმა თავის მიერ გამოქვეყნებული სიტყვები თვითონვე დაარღვია და პირობა დასდვა ამ გარემოებას რამდენიმე დროგამოშვებითს გამოცემაში დაბეჭდავო; ამის გამო საქმე მშვიდობიან გარიგებით გათავდა.

ფრანკფურტი მაინისა. როგორც „Frankfurter Zeitung“ იუწყება კონსტანტინოპოლიდგან, სომხეთის პროვინციებში მომხდარ ამბებისა გამო რუსეთის ელჩს ვრცელი ქაღალდი წარუდგენია სულთანისათვის. აღნიშნულს ქაღალდში ელჩი ზოგიერთების დასჯასა, ქურთების ძალმომრეობის წინააღმდეგ რაიმე ღონისძიებათა მიღებასა და პროვინციებში მშვიდობიანობის დამყარებასა თხოულობს. ბოლოს ელჩი საჩივარს გამოსთქვამს იმის გამო, რომ ძველი სერბიიდგან გაქცეულნი და შემდეგ სულთანის ნებართვით უკან დაბრუნებულნი დაპატიმრებული იქმნენ. ელჩი დაუყოვნებლივ ამათ განთავისუფლებას თხოულობს და ითხოვს სამშობლოში დაბრუნებულთ შემდეგშიაც იგივე დღე არ დაადგეთ.

ნიუნი ნოვგოროდი. 2 ოქტომბერს ბირჟაზედ დეპეშა მოვიდა, რომ ლიბიშჩინოკის გარდასაქანში, ყაზანს ქვეით, ასამდე გემია გაჩერებული და არ შეუძლიანთ გაიაროონ. ყინვები დაიწყო. ბირჟის საზოგადოებამ გარდასწყვიტა დღესვე დეპუტაცია აირჩიოს და გარდასაქანში გაგზავნოს, რომ გემებს წეს-რიგი მისცეს. ინჟენერის ალექსანდროვისა და სხვათა საქმის გარჩევას 4 ოქტომბერს შეუდგებიან.

სევასტოპოლი. ლედათა მფარველი საზოგადოება დაარსდა აქა.

ეკატერინოსლავი. ალმასების მაღაროში, სლავიანოსერბსკის მაზრაში ცეკხლი გაჩნდა. 15 მუშა კაციდგან 4 გადარჩა, 9 მკვდარი ამოიღეს, ორი ჯერ კიდევ ვერ უპოვნიათ.

კიევი. კიევსა და კოველს შუა რკინის გზის გაყვანა თითქმის დაამთავრეს. დროებითი მიმოსვლა 1-ლ იანვრიდგან უთუოდ დაიწყება.

პარიზი. საბერძნეთის მეფე პარიზში მობრძანდა.

ბერლინი. როგორც „Reichsanzeiger“ იუწყება, გრაფს ვალდერზეს „Pour le merite“ ორდენი მიუღია.

ტულონი. გრაფის ფელავოს ჰაეროსტატი კრეისერმა „დიუკანლამ“ შეჰნიშნა ზღვაში. კრეისერმა ჰაეროსტატი და მასთან მყოფი ხალხი აქ მოიყვანა.

ვენა. Weiner Zeitung“-ში დაბეჭდილია, რომ ერცგერცოგინა ელისაბედი, კრონპრინცის რუდოლფის ასული, იმპერატრის ნებართვით პრინცს ოტტონ ვინდიშგრეცზედ დანიშნულია.

ლონდონი. როგორც ნიუ-იორკის გაზეთები იუწყებიან, რუზველტს განზრახვა თურმე აქვს კონგრესსის მომავალს კრებაზედ „ტრესტების“ წინააღმდეგ ახალი კანონი გაიყვანოს და შესცვალოს ემიგრაციისა და ფლოტის გაძლიერების შესახებ არსებული კანონები იმ ანგარიშით, რომ ჩრდილო ამერიკის საზღვაო ძალა, ინგლისის გარდა, ყველა სხვა ფლოტზედ ძლიერი იყოს. რუზველტი თანახმაა იმ პრინციპისა, რომ მოხელენი დასობისა და მიმართულობის მიუხედავად ინიშნებოდნენ. რუზველტის სიტყვით, იგი ძლიერ მადლობელი იქმნება ერისა, თუ რომ მისს მოღვაწეობას მოიწონებს და ამ მოწონების ნიშნად 1904 წელს მეორედ ამოირჩევს, მაგრამ უარს იტყვის კანდიდატობაზედ, თუ რომ მისს წინადადებას უარ-ჰყოფენ.

ლონდონი. Daily Mail“-ს აუწყებენ სიმლადგან, რომ ლემაკერადგან მისულა ელჩი ავღანის ემირისა პოლკოვნიკი მაჰმად-იომაელი, რომელიც ინდოეთის მთავრობას თურმე უნდა მოელაპარაკოს.

---

3 ოქტომბერი.

პეტერბურგი. ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ სამმართველოს უფროსი პეტროვი უკვე დაბრუნდა და თავისის თანამდებობის შესრულებას შეუდგა.

კალუგა. დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე და დიდი მთავრის მეუღლე ელისაბედ მავრიკის ასული კოზელის მაზრიდგან წავიდნენ.

მოსკოვი. ქ ნის მედვედნიკოვის ხარჯით მოსკოვში ახალის ტიპის ვაჟთა გიმნაზია იქმნა დაარსებული.

ხარკოვი. 6 ოქტომბერს აქაური საბეითალო ინსტიტუტი 50 წლის არსებობასა დღესასწაულობს.

სიმლა. მეფის მოადგილემ აცნობა ხაბიბულას, რომ ბრიტანიის მთავრობის ნებართვით ხაბიბულას ავღანის ემირად აღიარებს. ამასთანავე ერთად გადასცა მეფის მოადგილემ, რომ ინგლისის მეფე ემირს მწუხარებაში თანაუგრძნობს და ყოველსავე სიკეთეს უსურვებს.

ბერლინი. როგორც „ლაფანის“ სააგენტოს მიერ ნიუ-ორკიდგან მიღებული ცნობები იუწყებიან, ამერიკელი ექსპორტერები სჩივიან თურმე, რომ ამერიკაში რუსეთის შაქარზედ დამატებითი ტარიფის შემოღების შემდეგ რუსეთის ბაზარი მთლად ნემეცებს დარჩათ. ექსპორტერებს განზრახვა თურმე აქვთ ერთად რაიმე საშუალება ილონონ, რომ თვისი სარგებლობა როგორმე დაიცვან. სხვათა შორის, განზრახვა აქვთ კონგრესზედ იქონიონ გავლენა, რომ საბაჟო კანონები გადასინჯულნი იქმნენო.

მადრიდი. სევილიაში ისევ არეულობა დაიწყო, რის გამოც საომარ დროის წესები იქმნა გამოცხადებული. მღელვარებამ ანდალუზიის დანარჩენს პროვინციებშიაც იჩინა თავი.

პარიზი. მინისტრთა საბჭომ უარჰყო კომისსიის მიერ გარდაწყვეტილი სასულიერო საქმეთა უწყებისა, რომის პაპთან მყოფ საელჩოსი და აღმოსავლეთის სამისიონერო დაწესებულებათა ხარჯის შემოკლება.

ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 6 მაისიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს, ფრჩხილებს გარეთ პეტერბურგის საათით)

მატარებელი მიდის ტფილისიდგან ბათუმში:

სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 11 წამ. (10 საათ. და 9 წამ.), ბათუმში ჩავა საღამოს 7 ს. 58 წ. (8 ს. 56 წ.)

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 5 ს. 27 წ. (6 ს. 25 წ., ბათუმში ჩავა დილის 6 ს. 30 წ. (7 ს. 28 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 6 ს. 49 წ. (7 ს. 57 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 6 ს. 48 წ. (7 ს. 46 წ.)

ტფილისიდგან ბორჯომში:

სამგზავრო მატარებელი № 7 დღის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს 38 წ.)

ტფილისიდგან ბაქოში

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, დილის 9 ს. 17 წ 10 ს. 15 წ.), ბაქოში ჩადის საღამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 1 ს. 48 წ. (12 ს. 46 წ.), ბაქოში ჩადის დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.),

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამოს 8 ს. 18 წ. (9 ს. 16 წ.), ბაქოში ჩადის დღის 11 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.).

ტფილისიდან ყარსში:

ფოსტის მატარებელი საღამოს 10 საათ. 10 ს. 58 წ.) ყარსში ჩადის დღის 12 ს. 3 წ. (1 ს. 21 წ.)

ბათუმიდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 2 საღამოს 9 ს 42 წ. (10 ს. 43 წ.). ტფილისში ჩამოდის დილის 7 ს. 57 წ. (8 ს. 55 წ).

ფოსტის მატარებელი № 4 საღამოს 10 ს 17 წ. (11 ს. 15 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.)

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 ს. 38 წ. (8 ს. 36 წ.).

ბაქოდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 1 ხუთშაბათობით დილის 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ. ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 ს. 25 წ. (8 ს. 23 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 10 ს 15 წ. (11 ს. 13 წ.), ტფილისში მოდის, დღის 4 ს. 13 წ. (5 ს. 11 წ.

სამგზავრო მატარებელი № [illegible] დღის 1 ს. 27 წ. (1 ს. 25 წ.) ტფილისში მოდის დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.).

ბორჯომიდგან ტფილისში:

სამგზავრო მატარებელი № 8 ღამის 5 ს. 5 წ. (2 ს. 3 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 45 წ. (7 ს. 43 წ.)

ყარსიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი დღის 4 ს. 12 წ. (5 ს. 10 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 15 წ. (7 ს. 13 წ.).

საგზარაკო მატარებელი:

საგზარაკო მატარებელი № 1 [illegible] განტფილისში საღამოს 5 ს. 22 წ. (6 ს. 20 წ.), ტფილისში ჩამოდის 6 ს. 1 წ. (6 ს. 59 წ.).

საგზარაკო მატარებელი № 20 მიხაილოვიდგან ტფილისში საღამოს 6 ს. 49 [illegible] (7 ს. 47 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს (10 ს. 14 წ. (11 ს. 12 წ.)

განცხადებანი

ვაძლევ

სასამართლოს საქმეებისა გამო რჩევებს, ვწერ თხოვნებს ყოველ გვარ საჩივრებს; აგრეთვე ვკისრულობ საქმეების წარმოებას სასამართლოებში, ღარიბებს უსასყიდლოდ. მე-5 ნაწ. კათოლიკეთა ქუჩა, სახლი № 25.

(3—215—2)

საოფთეაქო საქონლით მოვაჭრე

ამერიკა-კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის

დეპო

იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე. ამხანაგობა, სამკურნალო წამლებისა და სადისტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საჭმელებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საჭირველარეშო სამკაული).

ქალაქს გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ ფოსტითაც დაიბარონ რაც დასჭირდებათ (თუნდა მცირედიც იყოს) და ფასი ფოსტაშივე გადაიხადონ.

განყოფილება

სასახლის ქუჩაზეა, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т-во Фармацевтовъ—провизору Алхазову.

(100—43—96)

СЪ СЕНТЯБРЯ
ОТКРЫТА ПОДПИСКА НА IV-Й ГОДЪ
(съ октября 1901 по октябрь 1902)
Ежемѣсячнаго Иллюстрированнаго Изданія:

ИСКУССТВО
и
Художественная Промышленность,

выходящаго безъ предварительной цензуры подъ ред. Н. П. СОБКО,
съ однотонными и многоцвѣтными снимками въ текстѣ и на особыхъ листахъ.

Съ 1901 г. журналъ печатается въ *собственной* типографіи.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА въ годъ *за 24 №№ съ особыми приложеніями* (въ общемъ *до 1000 стр* текста и *около 500 снимковъ*): безъ дост. *8 р.* съ дост. и перес. *10 р.*; за гран. *12 р.*

Разсрочка допускается на условіи взносовъ; 1) по 5 руб. *въ полугодіе* (въ сентябрѣ и февралѣ); 2) по *четвертямъ года*—по 3 руб. при подпискѣ и въ началѣ 2-го полугодія (въ февралѣ) и по 2 руб. черезъ три мѣсяца послѣ 1-го и послѣ 2-го взноса; 3) *помѣсячно* (исключительно для городскихъ подписчиковъ)—по 2 р. при подпискѣ и по 1 р. въ теченіе слѣдующихъ 6-ти или 8-ми мѣсяцевъ.

Въ отдѣльной продажѣ—по *1 р.* за книгу журнала и по *25 к.* за № «Хроники» безъ перес.

Пробная книжка высылается *лишь по присылкѣ 1 р.*, съ наложеніемъ почтовыхъ расходовъ на саммую отправку, причѣмъ рубль этотъ зачисляется впослѣдствіи при подпискѣ на журналъ.

Тисненыя коленкоровыя съ кожанными корешками *покрышки* отходятся по *1 руб.* на каждый томъ безъ перес.

Иногородные подписчики во избѣжаніе излишнихъ проволочекъ при доставкѣ подписки черезъ книжные магазины, благоволятъ обращаться *преимущественно* въ Главную Контору: *С.-Петербургъ, Почтамтская,*

Книгопродавцамъ и *учащимся* дѣлается уступка *отъ 40 до 60 коп. съ годоваго экземпляра*, смотря по роду подписки

За перемѣну адреса взимается *50 коп.* деньгами или почт. марками.

Оставшіеся въ небольшомъ количествѣ *полные экземпляры* первыхъ 3-хъ лѣтъ журнала того же наименованія продаются по *10 р.*, съ пер. *по 12 р.*

(3—у—2)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 3-го Октября 1901 г. სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქუჩა, № 117, 118. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.